

ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი



ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი საწყისს იღებს „ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის“ კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრიდან, რომელმაც დაიწყო ფუნქციონირება 1935 წლიდან, ხოლო 1941 წლიდან ინსტიტუტს ეწოდა „თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი“. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სხვა კათედრების მსგავსად, კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრაც, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ამზადებდა კადრებს საკვალიფიკაციო კურსების 4-თვიანი პროგრამით ლაბორატორიული

დიაგნოსტიკის სხვადასხვა მიმართულებით: ჰემატოლოგია, ბიოქიმია, იმუნოლოგია, პარაზიტოლოგია და ა.შ. 90-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ინსტიტუტი საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა, 1993 წლიდან მიენიჭა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი და ეწოდა „ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია“. მისი კათედრები, მათ შორის კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრაც, იწყებს საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებას: ამზადებს ექიმებს კლინიკური ლაბორატორიებისათვის სხვადასხვა პროგრამებით და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს ლაბორატორიულ საქმიანობას სხვადასხვა გასვლითი პროგრამებისა და ტრენინგების ფორმით.

2006 წლიდან განხორციელდა აკადემიის ინტეგრაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან „დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის“ სახით. ცვლილებები შეეხო კათედრასაც, მას ეწოდა „ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი“ და ამ დროიდან გარდა დიპლომისშემდგომი სწავლებისა, მან შეიძინა დიპლომამდელი სწავლების ფუნქციაც ლაბორატორიულ მედიცინაში.

კათედრის გამგეები იყვნენ პროფესორები: ნიკოლოზ კამალოვი, ავთანდილ მაჭავარიანი, ქეთევან გარსიაშვილი, თინათინ ბუკია.

2017 წლიდან დღემდე დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ყოფილი კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის დოცენტი, ექიმი, მედიცინის დოქტორი, საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო გოგოხია.

სადღეისოდ ლაბორატორიული საქმის დეპარტამენტი განთავსებულია პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ლაბორატორიის ბაზაზე, სადაც სწავლების პროცესის პარალელურად მიმდინარეობს კლინიკური საქმიანობაც, ვინაიდან ლაბორატორია ემსახურება მულტიპროფილურ კლინიკას და მუშაობს სხვადასხვა ტიპის კვლევებზე, ჩართულია საერთაშორისო პროგრამულ კვლევებში, ასევე ასრულებს დოქტორანტთა კვლევების გარკვეულ ნაწილს, მონაწილეობს დარგობრივი-პროფესიული ასოციაციის საქმიანობაში და ურთიერთობა აქვს საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებთან.

უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შემდეგ დეპარტამენტი ახორციელებს როგორც დიპლომამდელ, ასევე დიპლომისშემდგომ პედაგოგიურ პროცესს ლაბორატორიულ მედიცინის სხვადასხვა სფეროში. სწავლების პროცესი მიმდინარეობს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიაში, სადაც ლაბორატორიული მედიცინის თეორიულ საფუძვლებთან ერთად სტუდენტებსა და რეზიდენტებს საშუალება აქვთ დაესწრონ პრაქტიკული მუშაობის პროცესს, გაერკვნენ თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებით წარმოებული კვლევების შესაძლებლობებსა და დიაგნოსტიკაში, ეზიარონ და მონაწილეობა მიიღონ თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური აპარატურით მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ დიპლომამდელი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვანი პროგრამის ფარგლებში.

პედაგოგიური პერსონალი: დიპლომამდელ სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობს პროფესორი ნინო გოგოხია, ხოლო დიპლომისშემდგომი სასწავლო პროცესის ხელმძღვანელია პროფესორი თინათინ ბუკია, სასწავლო პროცესში ასევე მონაწილეობას ღებულობენ მოწვეული პედაგოგები.